ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №070503/10/027

22 თებერვალი 2012 წელი

ქ. თბილისი

ერთის მხრივ **ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა**, მდებარე: ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამ. №2 (შემდგომში „შემსყიდველი“), რაიონის გამგებლის – **რამაზ სულამანიძის** სახით და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. "ორი დათო"**, მდებარე: ქ. თბილისი, ახალშენის ქ. №50 (შემდგომში „მიმწოდებელი“), ხელმძღვანელის **ვაჟა ნადირაძის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტისა და "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით და ქალაქ თბილისის მერიის 2012 წლის 21 თებერვლის წერილის №10-22/1296 საფუძველზე, როგორც გადაუდებელი აუცილებლობა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

შესყიდვის ობიექტია:

1.1. **ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე, ქარის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავისა და აივნის შეკეთებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა:**
– სამტრედიის ქ.№2ა-ში რბილი სახურავის შეკეთებითი სამუშაოები;
– დიღმის მასივის IV კვ. მე-7 კორპუსში დაზიანებული აივნის შეკეთებითი სამუშაოები;

1.2. კლასიფიკატორის კოდი 45100000

1.3. შესყიდვის ობიექტის – მისაწოდებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა მოცემულია ხელშეკრულების დანართში.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **4259.9 (ოთხი ათას ორასორმოცდაცხრამეტი ლარი და 90 თეთრი) ლარს.**

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **7 (შვიდი) კალენდარული დღე.**

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე. 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი ეტაპობრივად ჩააბარებს შემსყიდველს შესრულებულ სამუშაოებს. შესყიდვის ობიექტის ეტაპობრივი მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება "შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს ინსპექტირების ჯგუფის და "მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი ანგარიშები.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს" წარედგინება ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

6. ხელშეკრულების ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში.

6.2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6.3. შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადაა **ხუთი წელი**; სამუშაოს დასრულების შემდეგ 5(ხუთი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტები) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტები) გამოწვეულია "მიმწოდებლის" მიზეზით, "მიმწოდებელი" ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

6.4. „შემსყიდველი" ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს „მიმწოდებელს" ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

6.5. თუ „მიმწოდებელი" ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, „შემსყიდველს" უფლება აქვს „მიმწოდებლის" ხარჯით უზრუნველყოს არსებული დეფექტების გამოსწორება.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

7.3. წინასწარი ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის.

7.4. ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება ეტაპობრივად, შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

7.5 იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელი" დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, „შემსყიდველი" უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს თანხის სრული ოდენობით დაფარვამდე.

7.6. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი;

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
– შეამოწმოს მიწოდებული სამუშაოს შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
– განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პრობების დაცვაზე.
– უარი თქვას უხარისხო სამუშაოს მიღებაზე.
8.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:
– წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს“ სამუშაოს მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.
– მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.
8.3 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
– მოსთხოვოს „შემსყიდველს“ მიწოდებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

– გააფრთხილოს „შემსყიდველი“ სამუშაოს მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.
– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. „შემსყიდველი” უფლებამოსილია სამუშაოს მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს “მიმწოდებელს” საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი სამუშაოს ღირებულების 0,1 (ნული მთელი ერთი მეათედი) პროცენტის ოდენობით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე

მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

10.6. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11.3. „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურეობა ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.6 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურეობის ღირებულება.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს:

ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების მთ. სპეციალისტი თ. ოქრომელიძე

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15.5 ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

15.6 მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.

15.7 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში

აღნიშნულ მისამართზე იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა ს/კოდი: 202171167
მის: გრ. რობაქიძის გამ. №2
სს „ლიბერთი ბანკი“ ცენტრ. ფილიალი
ა/ა № GE95LB0125152101627000
ბანკის კოდი LBRTGE22

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს. “ორი დათო”
ს/კ 205 079 797
მის: ქ. თბილისი, ახალშენის ქ.№50
ს.ს “თი ბი სი ბანკი” მარჯანიშვილის/ფ
ბანკის კოდი TBCBGE22
№ GE70TB1100000011467343
ელსმენი: 577 30 79 61

რ. სულამანიძე

ვ. ნადირაძე

ხელწერილი

ქ.თბილისი 22 თებერვალი 2012 წელი

ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ 2012 წლის "22" თებერვალს გაფორმებული №070503/10/027 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე, ქარის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავისა და აივნის შეკეთებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება 'სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

გამგეობის ინფრასტრუქტურის
განვითარების განყოფილების
მთ. სპეციალისტი

თ. ოქრომელიძე

ქ. თბილისში დიდუბე ჩურურეთის რაიონში სამტრედიის ქუჩა ქ. №2-ა
რბილი სახურავის შეკეთებითი სამუშაოების

ხ ა რ ჯ თ ა ხ რ ი ც ხ ვ ა

№	სამუშაოს დასახელება	განზ.	რაოდ.	ერთ. ღირებულება	ჯამი
1	2	3	4	5	6
1	დაზიანებული სახურავის ძველი დაზიანებული ლინეკრომისაგან გასუფთავება და ახალი გადახურვისთვის მომზადება	$მ^2$	232,0	0,5	116,0
2	სახურავის დამუშავება პრაიმერით	$მ^2$	232,0	0,5	116,0
3	სახურავის მოწყობა ლინეკრონით	$მ^2$	232,0	9,5	2204,0
4	სამშენებლო ნარჩენების ჩამოტანა და გატანა ნაგავსაყრელზე	ტონა	0,4	50,0	20,0
	ჯამი				2456,0
	ზედნადები ხარჯები	6%			147,4
	ჯამი				2603,4
	გეგმიური დაგროვება	10%			260,3
	ჯამი				2863,7
	დღგ 18%	18%			515,5
	ჯამი				3379,2

შპს "ორი დათო"-ს

დირექტორი: ვ. ნ[illegible]ძე

დიდუბე-ჩუ[illegible]ის რაიონის

ვ. რ[illegible]ეიშ[illegible]

თ. ბ[illegible]

თ. ოქრომელიძე

ქ. თბილისში დიდუბე ჩურურეთის რაიონში დილმის მას. IV კვ. 7კორპ.
დაზიანებული აივნის შეკეთებითი სამუშაოების

ხ ა რ ჯ თ ა ხ რ ი ც ხ ვ ა

№	სამუშაოს დასახელება	განზ.	რაოდ.	ერთ. ღირებულება	ჯამი
1	2	3	4	5	6
1	ქარის შედეგად დაზიანებული აივნის კონსტრუქციის აივნის დემონტაჟი	$მ^2$	4,5	40,0	180
2	აივნის კონსტრუქციის აღდგენა და მონტაჟი	$მ^2$	4,5	80,0	360
3	კუთხოვანა 40X40	გრმ/მ	4,5	5,0	22,5
4	ზოლოვანა 3სმ სისქე 3მმ	გრმ/მ	9,0	3,0	27
5	ჩასატანებელი დეტალი	ცალი	4,0	5,0	20
6	ხალი აივნის შეღებვა ორივე მხრიდან ზეთოვანი საღებავით	$მ^2$	9,0	3,4	30,6
	ჯამი				640,1
	ზედნადები ხარჯები	6%			38,4
	ჯამი				678,5
	გეგმიური დაგროვება	10%			67,9
	ჯამი				746,4
	დღგ 18%	18%			134,3
	ჯამი				880,7

შპს "ორი დათო"-ს

დირექტორი: ვ. ნადირაძე

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

გ. ოდბაკიძე

თ. ბუზიაშვილი

თ. ოქრომელიძე

ხელწერილი

ქ.თბილისი 22 თებერვალი 2012 წელი

ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ 2012 წლის "22" თებერვალს გაფორმებული №070503/10/027 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე, ქარის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავისა და აივნის შეკეთებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის:

– სამტრედიის ქ.№2ა-ში რბილი სახურავის შეკეთებითი სამუშაოები;

– დიღმის მასივის IV კვ. მე-7 კორპუსში დაზიანებული აივნის შეკეთებითი სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

რაიონის გამგებელი რ. სულამანიძე

ინფრასტრუქტურის განვითარების მთ.სპეციალისტი თ. ოქრომელიძე